



საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

# ინფლაცია საქართველოში

2022 აგვისტო



# საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

02.09.2022

## ინფლაცია საქართველოში, 2022 წლის აგვისტო

2022 წლის აგვისტოში წინა თვესთან შედარებით ინფლაციის დონემ საქართველოში 0.1 პროცენტი, ხოლო წლიური ინფლაციის დონემ 10.9 პროცენტი შეადგინა.


რაც შეეხება საბაზო ინფლაციას<sup>1</sup>, აღნიშნულმა მაჩვენებელმა 2022 წლის აგვისტოში, გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით 7.0 პროცენტი შეადგინა, ხოლო თამბაქოს გარეშე წლიური საბაზო ინფლაციის<sup>2</sup> მაჩვენებელი ასევე 7.0 პროცენტით განისაზღვრა.

ქვემოთ მოცემულ ცხრილში წარმოდგენილია სამომხმარებლო კალათაში შემავალი საქონლისა და მომსახურების ჯგუფების ფასების პროცენტული ცვლილება და შესაბამისი წვლილი ინფლაციის მთლიან მაჩვენებელში წინა თვესთან შედარებით.

### პროცენტული ცვლილება წინა თვესთან შედარებით

კატეგორია	პროცენტული ცვლილება (%)
სურსათი და უალკოჰოლო სასმელები	0.9
ალკოჰოლური სასმელები, თამბაქო	0.1
ტანსაცმელი და ფეხსაცმელი	-0.5
საცხოვრებელი, წყალი, ელ.ენერჯია, აირი	0.0
ავეჯი, საოჯახო ნივთები, სახლის მოვლა	1.7
ჯანმრთელობის დაცვა	-0.2
ტრანსპორტი	-3.1
კაპიტალური მშენებლობა	-0.6
დასვენება, გართობა და კულტურა	0.9
განათლება	0.0
სასტუმროები, კაფეები და რესტორნები	2.3
სხვადასხვა საქონელი და მომსახურება	0.5

### ჯგუფების წვლილი 2022 წლის აგვისტოს ინფლაციაში (სულ 0.1%)



ინფლაციის დონე, სულ

0.1

პროცენტული პუნქტი

\* რიცხვების დამრგვალების გამო ცალკეული ჯგუფების ჯამი შესაძლოა არ უდრიდეს ინფლაციის მთლიან მაჩვენებელს.

<sup>1</sup>საბაზო ინფლაციის განგარიშება ხდება სამომხმარებლო კალათიდან შემდეგი საქონლისა და მომსახურების ჯგუფების გამორიცხვით: სურსათი და უალკოჰოლო სასმელები; ენერგომატარებლები; ადმინისტრირებადი ტარიფები; ტრანსპორტი (ცალკეული ტარიფები).

<sup>2</sup>თამბაქოს გარეშე საბაზო ინფლაციის განგარიშება ხდება სამომხმარებლო კალათიდან შემდეგი საქონლისა და მომსახურების ჯგუფების გამორიცხვით: სურსათი და უალკოჰოლო სასმელები; თამბაქო; ენერგომატარებლები; ადმინისტრირებადი ტარიფები; ტრანსპორტი (ცალკეული ტარიფები).



## საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

02.09.2022

ყოველთვიური ინფლაციის მაჩვენებლის ფორმირებაზე ძირითადი გავლენა იქონია ფასების ცვლილებამ შემდეგ ჯგუფებზე:

**სურსათი და უალკოჰოლო სასმელები:** ჯგუფში ფასები გაიზარდა 0.9 პროცენტით, რაც თვის ინფლაციაზე 0.33 პროცენტული პუნქტით აისახა. ფასები გაიზარდა შემდეგ ქვეჯგუფებზე: რძე, ყველი და კვერცხი (7.3 პროცენტი), პური და პურპროდუქტები (2.7 პროცენტი), ყავა, ჩაი და კაკაო (1.6 პროცენტი), ხორცი და ხორცის პროდუქტები (1.2 პროცენტი). ამასთან, ფასები შემცირდა ქვეჯგუფებზე: ბოსტნეული და ბალჩეული (-6.6 პროცენტი), ხილი და ყურძენი (-11.3 პროცენტი);

**სასტუმროები, კაფეები და რესტორნები:** ფასები მომატებულია 2.3 პროცენტით, რაც თვის ინფლაციაზე 0.11 პროცენტული პუნქტით აისახა. ფასები გაიზარდა როგორც ღამის გასათევით მომსახურების (3.0 პროცენტი), ისე საზოგადოებრივი კვების (2.2 პროცენტი) ქვეჯგუფებზე;

**ტრანსპორტის** ჯგუფში ფასები შემცირდა 3.1 პროცენტით, რაც -0.39 პროცენტული პუნქტით აისახა მთლიან ინდექსზე. ფასების კლება დაფიქსირდა პირადი სატრანსპორტო საშუალებების ექსპლუატაციაზე (-4.3 პროცენტი) და სატრანსპორტო საშუალებების შეძენაზე (-1.4 პროცენტი).


ქვემოთ მოცემულ ცხრილში წარმოდგენილია სამომხმარებლო კალათაში შემავალი საქონლისა და მომსახურების ჯგუფების ფასების პროცენტული ცვლილება და შესაბამისი წვლილი 2022 წლის აგვისტოს წლიური ინფლაციის მთლიან მაჩვენებელში.

## საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

02.09.2022

**პროცენტული ცვლილება წინა წლის შესაბამის თვისთან შედარებით**

**ჯგუფების წვლილი\* 2022 წლის აგვისტოს ინფლაციაში წინა წლის შესაბამის თვისთან შედარებით, (სულ 10.9%)**



\* რიცხვების დამრგვალების გამო ცალკეული ჯგუფების ჯამი შესაძლოა არ უდრიდეს ინფლაციის მთლიან მაჩვენებელს.

წლიური ინფლაციის ფორმირებაზე ძირითადი გავლენა იქონია ფასების ცვლილებამ შემდეგ ჯგუფებზე:

**სურსათი და უალკოჰოლო სასმელები:** ჯგუფში ფასები გაიზარდა 15.8 პროცენტით, რაც წლიურ ინფლაციაზე 5.14 პროცენტული პუნქტით აისახა. ფასები მომატებულია შემდეგ ქვეჯგუფებზე: პური და პურპროდუქტები (32.4 პროცენტი), რძე, ყველი და კვერცხი (20.8 პროცენტი), მინერალური და წყაროს წყალი, უალკოჰოლო სასმელები და ნატურალური წვენები (20.3 პროცენტი), ზეთი და ცხიმი (19.8 პროცენტი), ყავა, ჩაი და კაკაო (18.7 პროცენტი), შაქარი, ჯემი და სხვა ტკბილეული (18.6 პროცენტი), თევზეული (13.6 პროცენტი), ხორცი და ხორცის პროდუქტები (11.1 პროცენტი), ხილი და ყურძენი (2.5 პროცენტი). ამასთან, ფასები შემცირდა ბოსტნეულსა და ბალჩეულზე (-9.6 პროცენტი);

**ტრანსპორტის** ჯგუფში ფასები გაიზარდა 15.6 პროცენტით, რაც 1.87 პროცენტული პუნქტით აისახა მთლიანი ინდექსის ზრდაზე. ფასები მომატებულია პირადი სატრანსპორტო საშუალებების ექსპლუატაციაზე (18.7 პროცენტი), სატრანსპორტო მომსახურებაზე (14.5 პროცენტი) და სატრანსპორტო საშუალებების შეძენაზე (1.6 პროცენტი);

**საცხოვრებელი, წყალი, ელ.ენერჯია, აირი:** ჯგუფში დაფიქსირდა ფასების 12.4 პროცენტიანი მატება, რაც 1.19 პროცენტული პუნქტით აისახა წლიურ ინფლაციაზე. ფასები გაიზარდა ქვეჯგუფებზე:


## საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

02.09.2022

ფაქტური გადასახადი საცხოვრებელზე (22.5 პროცენტი), საცხოვრებლის მიმდინარე მოვლა და შეკეთება (12.8 პროცენტი), ელექტროენერგია, აირი და სათბობის სხვა სახეები (6.0 პროცენტი);


**სასტუმროები, კაფეები და რესტორნები:** ფასები მომატებულია 14.9 პროცენტით, რაც წლიურ ინფლაციაზე 0.63 პროცენტული პუნქტით აისახა. ფასები გაიზარდა როგორც საზოგადოებრივი კვების (15.4 პროცენტი), ისე ღამის გასათევით მომსახურების (11.7 პროცენტი) ქვეჯგუფებზე.

### ყოველთვიური ინფლაცია



### წლიური ინფლაციის დონე საქართველოში

(წინა წლის შესაბამის თვესთან, პროცენტული ცვლილება)




## საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

02.09.2022

### საშუალო ინფლაციის დონე საქართველოში

(12 თვის საშუალო წინა 12 თვის საშუალოსთან, პროცენტული ცვლილება)



#### საკონტაქტო პირები:

გიორგი თეთრაული  
ტელ.: (+995 32) 236 72 10 (400)  
E-mail: [gtetrauli@geostat.ge](mailto:gtetrauli@geostat.ge)

მარიამ ყაველაშვილი  
ტელ.: (+995 32) 236 72 10 (020).  
E-mail: [mkavelasvili@geostat.ge](mailto:mkavelasvili@geostat.ge)